ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №20

23.12.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
7. ანა გოგოლაძე - კომისიის წევრი;
8. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032234849-03; 14.12.2022).**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება შემოსულობების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადის 8541,7 ათასი ლარის ზრდით, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების 425,7 ათასი ლარის შემცირებით და ზოგიერთი შემოსავლის ფაქტიურად მიღებული ოდენობის მიხედვით გეგმის დაზუსტებით. ამასთან, ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის ჯამური მოცულობა შეადგენს 1 567 982,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ემატება ახალი პროგრამა - **მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23)** 1410,0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ემსახურება თბილისში მდგრადი მობილობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) გონიერი სატრანსპორტო სისტემა, ე.ი. მართვის ცენტრი მონაცემთა პლატფორმით, სენსორებითა და სიგნალიზაციის ტექნოლოგიით, რაც გამოიყენება სამანქანო ნაკადებისა და პარკირების ადგილების რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისათვის; 2) ე.წ. ,,მწვანე დერეფნები“, რაც გულისხმობს შერჩეული სატრანსპორტო დერეფნებისათვის ქუჩის ახალი დიზაინის შემუშავებას, მათ შორის სწრაფი საავტობუსე სავალი გზების მოწყობასა და ველო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

პროექტის თანახმად, მცირდება **თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48)** 2088,9 ათასი ლარით.

დასასრულს, **გ.თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 493 203,1 ათასი** ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **74 779,5 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 388 103,1 ათასი** ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო **(61 869,5) ათასი** ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის **(12-032234849-03; 14.12.2022)** საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032234849-03; 14.12.2022)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე